-ნ მ. ქადეიშვილს

თხოვთ განიხილოთ და მოქმედი კანონმდებლობის
ესაბამისად აწარმოოთ საქმისწარმოება

კ. ბექაური
15.11.2014წ.

ციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარე

ბატონ კახი ბექაურს

ი“ და სს „გლობალ კონტაქტი კონსალტინგის“

ერთობლივი განცხადება

ბატონო კახი,

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 51-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად წარმოგიდგენთ სს „სილქნეტის“ და სს „გლობალ კონტაქტო კონსალტინგს“ შორის გაფორმებულ ხელშეკრულებას სს „გლობალ კონტაქტ კონსალტინგის“ რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის NF36 და NF54 ლიცენზიების პირდაპირი წესით გადაპირების შესახებ და გთხოვთ დაიწყოთ საჯარო ადმინისტრაციული წარმოება აღნიშნული ლიცენზიების გადაპირებასთან დაკავშირებით.

დანართი: ხელშეკრულება 7 ფურცელი 1 ეგზ.

პატივისცემით,

სს „სილქნეტის“ გენერალური დირექტორი

დავით მამულაიშვილი

სს „გლობალ კონტაქტ კონსალტინგის“

გენერალური დირექტორი

შალვა მარგალიტაძე

№ 5069/05-8
15.11.2017

77/8832.17
15.11.2017

ქ-ნ მ. ქადეიშვილს

გთხოვთ განიხილოთ და მოქმედი კანონმდებლობის
შესაბამისად აწარმოოთ საქმისწარმოება

კ. ზექაური
15.11.2014წ.

ციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარე

ბატონ კახი ბექაურს

ი“ და სს „გლობალ კონტაქტი კონსალტინგის“

ერთობლივი განცხადება

ბატონო კახი,

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 51-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად წარმოგიდგენთ სს „სილქნეტის“ და სს „გლობალ კონტაქტო კონსალტინგს“ შორის გაფორმებულ ხელშეკრულებას სს „გლობალ კონტაქტ კონსალტინგის“ რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის NF36 და NF54 ლიცენზიების პირდაპირი წესით გადაპირების შესახებ და გთხოვთ დაიწყოთ საჯარო ადმინისტრაციული წარმოება აღნიშნული ლიცენზიების გადაპირებასთან დაკავშირებით.

დანართი: ხელშეკრულება 7 ფურცელი 1 ეგზ.

პატივისცემით,

სს „სილქნეტის“ გენერალური დირექტორი

დავით მამულაიშვილი

_____

სს „გლობალ კონტაქტ კონსალტინგის“

გენერალური დირექტორი

შალვა მარგალიტაძე

_____

№ 5069/05-8
15.11.2017

№ 17/8833.17
15.11.2017

ხელშეკრულება

რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის NF36 და NF54 ლიცენზიების პირდაპირი წესით გადაპირების შესახებ

ქ.თბილისი 15 ნოემბერი 2017

წინამდებარე გადაპირების ხელშეკრულება (შემდგომში „ხელშეკრულება") დადებულია შემდეგ მხარეებს შორის:

1. სს „სილქნეტი", საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული იურიდიული პირი, საიდენტიფიკაციო კოდით: 204566978, („ლიცენზიების მიმღები") წარმოდგენილი გენერალური დირექტორის დავით მამულაიშვილის სახით,

2. სს „გლობალ კონტაქტ კონსალტინგი", საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული იურიდიული პირი, საიდენტიფიკაციო კოდით: 204952275 (შემდგომში „ლიცენზიების გადამცემი") წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის შალვა მარგალიტაძის სახით,

იმდენად, რამდენადაც:

- ლიცენზიების გადამცემი წარმოადგენს რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის NF36 და NF54 ლიცენზიების (შემდგომში „ლიცენზიები") მესაკუთრეს, თანახმად საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2016 წლის 30 ნოემბრის N769/6 გადაწყვეტილებისა და N000241 და N000242 სალიცენზიო მოწმობებისა;
- ლიცენზიების გადამცემსა და ლიცენზიების მიმღებს შორის 2017 წლის 17 ოქტომბერს გაფორმდა ხელშეკრულება ნასყიდობის შესახებ, რომლის საფუძველზეც ლიცენზიების გადამცემს სურს გაასხვისოს ლიცენზიები ლიცენზიის მიმღებზე, ხოლო ლიცენზიის მიმღებს სურს აღნიშნული ლიცენზიების შესყიდვა;
- „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის 51-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

მხარეები ვთანხმდებით შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია ამ მუხლის 1.2 პუნქტით გათვალისწინებული ლიცენზიების ლიცენზიების გადამცემის მიერ, ლიცენზიების მიმღებისთვის (შემდგომში „ხელშეკრულების საგნი") პირდაპირი წესით გადაპირება.

1.2. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე, ლიცენზიების გადამცემი, ლიცენზიების მიმღებს პირდაპირი გადაპირების წესით გადასცემს შემდეგ ლიცენზიებს:

1.2.1. რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის NF36 ლიცენზია შემდეგი სალიცენზიო პირობებით:

1.2.1.1. რადიოსიხშირული სპექტრი:

1.2.1.1.1. 11.294გჰც - 11.883 გჰც შემდეგ ქალაქებსა და მუნიციპალიტეტებში: ბათუმი, ქობულეთი, ფოთი, სამტრედია, სენაკი, ლანჩხუთი, ჩოხატაური და ოზურგეთი;

1.2.1.1.2. 11,700 - 12,289 გჰც შემდეგ ქალაქებსა და მუნიციპალიტეტებში: თბილისი, რუსთავი, ქუთაისი, ჭიათურა, მცხეთა, გორი, კასპი, ხაშური, ხარაგაული, ზესტაფონი, საჩხერე, თერჯოლა, ტყიბული, აბაშა, ხობი, ზუგდიდი, მარტვილი, ჩხოროწყუ, წალენჯიხა, ხულო, ქედა, ხელვაჩაური, დუშეთი, ახალგორი, თიანეთი, ყაზბეგი, ონი, ამბროლაური, ლენტეხი, ცაგერი, მესტია, გალი, ოჩამჩირე, სოხუმი, გარდაბანი, მარნეული, თეთრიწყარო, ბოლნისი, დმანისი, წალკა, ცხინვალი, ბორჯომი, ასპინძა, ახალციხე, ახალქალაქი, ვანი, ბაღდათი, ხონი, წყალტუბო, ნინოწმინდა;

1.2.1.1.3. 11.359გჰც – 11672გჰც და 12.228გჰც – 12.289გჰც ქ.თელავში და ყვარელში;

1.2.1.1.4. 11083 მჰც ÷ 11672 მჰც - ახმეტის, გურჯაანისა და სიღნაღის მუნიციპალიტეტებში; 12228 მჰც ÷ 12817 მჰც დედოფლისწყაროს და საგარეჯოს მუნიციპალიტეტებში;

1.2.1.1.5. ლიცენზიის მოქმედების ვადა: 2026 წლის 1 დეკემბრამდე;

1.2.1.1.6. უზრუნველყოს ლიცენზიის მფლობელმა რადიოსიხშირული ზოლის გამოყენება კომისიის 2006 წლის 30 ივნისის №6 დადგენილებით დამტკიცებული "რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმის" შესაბამისად.

1.2.2. რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის NF54 ლიცენზია შემდეგი სალიცენზიო პირობებით:

1.2.2.1. რადიოსიხშირული სპექტრი:

1.2.2.1.1. სიხშირული ზოლი: 12317 მჰც ÷ 12905 მჰც შემდეგ ქალაქებსა და მუნიციპალიტეტებში: კასპი, ქარელი, ხაშური, გორი, ცხინვალი, დუშეთი, ყვარელი, თელავი, ლაგოდეხი, ახმეტა, სიღნაღი, გურჯაანი;

1.2.2.1.2. სიხშირული ზოლი: 11191 მჰც ÷11667 მჰც შემდეგ ქალაქებსა და მუნიციპალიტეტებში: თბილისი, მცხეთა, ზესტაფონი, ქუთაისი, ჭიათურა, საჩხერე, გარდაბანი, თეთრი წყარო, დმანისი, ბოლნისი, საგარეჯო, დედოფლისწყარო;

1.2.2.1.3. სიხშირული ზოლი 10705 მჰც ÷11293 მჰც შემდეგ ქალაქებსა და მუნიციპალიტეტებში: თერჯოლა, ტყიბული, ბაღდათი, ხონი, სამტრედია, აბაშა, ლანჩხუთი, ოზურგეთი, ჩოხატაური, ფოთი, ქობულეთი, ხელვაჩაური, ხულო, ბათუმი, ონი, ამბროლაური, ახალქალაქი, ახალციხე, ნინოწმინდა, თიანეთი, წალკა, ყაზბეგი, სენაკი, წალენჯიხა, ჩხოროწყუ, ზუგდიდი, ცაგერი, ლენტეხი, მესტია, გალი, სოხუმი, გაგრა, გულრიფში, ოჩამჩირე, გუდაუთა, ტყვარჩელი;

1.2.2.1.4. ლიცენზიის მოქმედების ვადა: 2026 წლის 9 დეკემბრამდე;

1.2.2.1.5. უზრუნველყოს ლიცენზიის მფლობელმა რადიოსიხშირული ზოლის გამოყენება კომისიის 2006 წლის 30 ივნისის №6 დადგენილებით დამტკიცებული "რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმის" შესაბამისად;

2. მხარეთა უფლება-მოვალეობები

2.1. ლიცენზიების გადამცემი ვალდებულია:

2.1.1. ლიცენზიების გადამცემს გადასცეს უფლებრივად უნაკლო ლიცენზიები წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესისა და პირობების შესაბამისად;

2.1.2. ლიცენზიების გადამცემს გადასცეს ყველა ის დოკუმენტაცია, რაც დაკავშირებული ლიცენზიების გადაცემასთან (სალიცენზიო მოწმობები, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის გადაწყვეტილებები, ლიცენზიებისთვის გათვალისწინებული ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საფასურის შესაბამისი ნაწილის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტაცია);

2.1.3. იმის გათვალისწინებით, რომ წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ლიცენზიების გამოყენებით ლიცენზიების გადამცემი ბოლო მომხმარებლებს (აბონენტებს) უწევს მაუწყებლობის ტრანზიტით მომსახურებას, ლიცენზიების გადამცემი ვალდებულია, საკუთარ აბონენტებს

რეგლამენტით გათვალისწინებულ ვადაში გაუგზავნოს ამავე რეგლამენტით განსაზღვრული ინდივიდუალური შეტყობინებები მომსახურების მიმწოდებლის ცვლილების შესახებ.

2.1.4. ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები;

2.2. ლიცენზიების გადამცემი უფლებამოსილია:

2.2.1. მოსთხოვოს ლიცენზიების მიმღებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შესრულება.

2.3. ლიცენზიების მიმღები ვალდებულია:

2.3.1. ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები;

2.3.2. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ ლიცენზიების გადაპირების თაობაზე თანხმობის მიღების შემთხვევაში, კომისიის უწყებრივ რეესტრში ლიცენზიების მფლობელად რეგისტრაციისთანავე მაუწყებლობით ტრანზიტის მომსახურება უწყვეტად გაუწიოს ლიცენზიების გადამცემის აბონენტებს.

2.4. ლიცენზიების მიმღები უფლებამოსილია:

2.4.1. მოსთხოვოს ლიცენზიების მიმღებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შესრულება.

2.5. მხარეები თანხმდებიან რომ ერთობილი განცხადებით მიმართავენ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას ლიცენზიების გადაპირების მიზნით საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე და წარუდგენენ წინამდებარე ხელშეკრულებას.

2.6. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ ლიცენზიების გადაპირების შესახებ გადაწყვეტილების (ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის) მიღებისა და ძალაში შესვლის შემდეგ ლიცენზიების მყიდველზე სრულად გადავა „სს „გლობალ კონტაქტ კონსალტინგის" რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის NF36 და NF54 ლიცენზიების მოქმედების ვადის გაგრძელების თაობაზე" საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2016 წლის 30 ნოემბრის N769/6 გადაწყვეტილებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები.

3. ხელშეკრულების ღირებულება და ანგარიშსწორება

3.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ლიცენზიების ფასი და მხარეთა შორის ანგარიშსწორების წესი განისაზღვრება მხარეებს შორის 2017 წლის 17 ოქტომბერს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულებით;

4. მხარეთა განცხადებები და გარანტიები:

4.1. ლიცენზიების გადამცემი აცხადებს, რომ ნასყიდობის საგანი არის უფლებრივად უნაკლო.

4.2. მხარეები აცხადებენ და იძლევიან გარანტიას, რომ წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერა არ იწვევს რომელიმე არსებული გარიგების პირობის დარღვევას;

4.3. მხარეები აცხადებენ და იძლევიან გარანტიას, რომ მათ, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით, მოპოვებული აქვთ/მოიპოვებენ ყველა საჭირო უფლებას, თანხმობას, აუცილებელი ნებართვას ან/და სხვა საჭირო დოკუმენტს წინამდებარე ხელშეკრულების დადების და ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული უფლება–მოვალეობების შესრულებისათვის;

4.4. ლიცენზიების გამყიდველი აცხადებს და იძლევა გარანტიას, რომ არ მონაწილეობს არც ერთ სასამართლო, საარბიტრაჟო პროცესში და არ მიმდინარეობს სააღსრულებო წარმოება მის მიმართ, რაც დაკავშირებული არის წინამდებარე ხელშეკრულების საგანთან და რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

4.5. მხარეები დამატებით აცხადებენ და გარანტიას იძლევიან, რომ:

4.5.1. რეგისტრირებულნი არიან საქართველოში მოქმედ კანონმდებლობასთან სრულ შესაბამისობაში;

4.5.2. აქვთ სრული უფლებამოსილება ხელი მოაწერონ ხელშეკრულებას;

4.5.3. ხელშეკრულების ხელმოწერით და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოქმედებების შესრულებით არ არღვევენ და/ან არ დაარღვევენ მოქმედ კანონმდებლობას, საკუთარ წესდებას და/ან სხვა ნებისმიერ მარეგულირებელ დოკუმენტს.

5. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა

5.1. „ხელშეკრულება" ძალაში შედის საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ ლიცენზიების გადაპირების თაობაზე გადაწყვეტილების (ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის) ძალაში შესვლის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად და დაჯეროვნად შესრულებამდე.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1. მხარე პასუხისმგებლობის პირობები განისაზღვრება მხარეებს შორის 2017 წლის 17 ოქტომბერს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულებით.

7. კონფიდენციალობა

7.1. ხელშეკრულების თითოეული მხარე იღებს ვალდებულებას მკაცრად დაიცვას და არ გაახმაუროს წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიღებული ინფორმაცია, მათ შორის პერსონალური, ფინანსური, კომერციული და სხვა სახის. ნებისმიერი ასეთი ინფორმაცია წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას და მისი გადაცემა მესამე პირებისთვის შეიძლება მხოლოდ ორივე მხარის წერილობითი თანხმობის შემთხვევაში, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. კონფიდენციალურობის დაცვის პირობა, მოქმედებს წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის შემდგომაც.

7.2. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით „მხარეები" აცხადებენ თანხმობას, რომ:

7.2.1. იმ შემთხვევაში, თუ „მხარე" დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი რომელიმე ერთ ან რამდენიმე ვალდებულებას ან იარსებებს „მხარის" საქმიანი რეპუტაციის ან/და კანონიერი ინტერესების დაცვის საჭიროება, „მხარე" უფლებამოსილია, სასამართლოს, არბიტრაჟს, აღსრულების ეროვნულ ბიუროს ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნებისმიერ სხვა პირს გადასცეს დამრღვევი „მხარის" შესახებ ნებისმიერი სახის ინფორმაცია ან/და დოკუმენტაცია, მათ შორის პერსონალური მონაცემის შემცველი ინფორმაცია/დოკუმენტაცია.

7.2.2. იმ შემთხვევაში, თუ „მხარე" დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრ რომელიმე ერთ ან რამდენიმე ვალდებულებას არადამრღვევი „მხარე" უფლებამოსილია, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, დათმოს მოთხოვნა მესამე პირის სასარგებლოდ და ამ უკანასკნელთან გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე დამრღვევი „მხარის" მიერ ყოველგვარი დამატებითი თანხმობის გაცემის გარეშე გადასცეს მესამე პირს დამრღვევი „მხარის" შესახებ ნებისმიერი სახის ინფორმაცია ან/და დოკუმენტაცია, მათ შორის პერსონალური მონაცემის შემცველი ინფორმაცია/დოკუმენტაცია.

8. ფორს–მაჟორი

8.1. „მხარეები“ თავისუფლდებიან „ხელშეკრულებით” გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობასთან ან არაჯეროვნად შესრულებასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობისგან, თუ ასეთი შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება გამოწვეულია „ფორს-მაჟორის“ შედეგად.

8.2. წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ან დაუძლეველი ძალა ნებისმიერი მხარისთვის არის ისეთი შემთხვევა ან გარემოება, რომელიც გამოწვეულია დაუძლეველი ძალის შედეგად, მხარეთა ნებისაგან დამოუკიდებლად და შეუძლებელია თავიდან იქნას აცილებული მიუხედავად მხარეთა გონივრული მცდელობისა და რომლის შედეგადაც ან რომლის მიზეზითაც მხარეებისთვის შეუძლებელი ხდება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება. ასეთი შემთხვევით მიყენებული ზიანი მხარეთა შორის ანაზღაურებას არ ექვემდებარება. ამასთან, ასეთი მხარე დაუყოვნებლივ აცნობებს მეორე მხარეს ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შესახებ და ყოველგვარ ძალას მიმართავს, იმისათვის, რომ შეამციროს მათი ხანგრძლივობა და შედეგი, ხოლო ამგვარი გარემოებების დამთავრებისთანავე აღადგენს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას. ფორს-მაჟორული გარემოებები დადასტურებული უნდა იქნას სახელმწიფოს შესაბამისი კომპეტენტური ორგანოების მიერ.

8.3. “მხარე”, რომელზედაც გავლენა მოახდინა „ფორს-მაჟორმა“, ასეთის გარემოების დადგომიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში ან „ფორს–მაჟორის“ შეწყვეტიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის განმავლობაში (რომელიც უფრო ადრე დადგება) ვალდებულია აცნობოს მეორე “მხარეს” “ფორს–მაჟორის” დადგომის ან შეწყვეტის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი “მხარე” “ხელშეკრულებით” გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების შესრულების შემთხვევაში არ თავისუფლდება შესაბამისი პასუხისმგებლობისაგან.

8.4. ნებისმიერ შეტყობინებაში უნდა მიეთითოს “ფორს–მაჟორის” სრული აღწერა და მისი გავლენა შესაბამისი “მხარის” მიერ “ხელშეკრულებით” გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე, ასევე, ამ გადავადებული ვალდებულებების შესრულების ვადა.

8.5. „ფორს-მაჟორის“ არსებობისა და დადასტურების შემთხვევაში, “მხარეთა” მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების ვადა, გაიზრდება „ფორს–მაჟორის“ ვადის პროპორციულად. ვადის ათვლა განახლდება “ხელშეკრულებით” გათვალისწინებული ვალდებულებების განხორციელების შემაფერხებელი „ფორს-მაჟორის“ დასრულებისთანავე. ვადის დარჩენილი ნაწილი გაიზრდება შეფერხების ხანგრძლივობის პროპორციულად. ფორს-მაჟორული გარემოების 2 (ორი) თვით და მეტი ვადით უწყვეტად გახანგრძლივების შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან ცალმხრივად მოშალონ ხელშეკრულება მეორე მხარისთვის შესაბამისი წერილობითი შეტყობინების გაგზავნის საფუძველზე.

9. ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. „ხელშეკრულება“ და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი გარიგება “შესრულების თარიღამდე” ნებისმიერ დროს შეიძლება შეწყდეს შემდეგი საფუძვლით:

9.1.1. “მხარეთა “ შორის არსებობს წერილობითი შეთანხმება “ხელშეკრულების“ ვადამდე შეწყვეტის შესახებ;

9.1.2. მხარეთა შორის ვადაზე ადრე შეწყდა მხარეებს შორის 2017 წლის 17 ოქტომბერს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულება;

9.1.3. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ არ იქნა დამტკიცებული ლიცენზიების გადაპირება;

10. დავის მოწესრიგება

10.1. წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

10.2. მხარეები მიიღებენ ყველა ზომას, რომ წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი დავა თუ უთანხმოება გადაჭრილი იქნეს მოლაპარაკების გზით;

10.3. იმ შემთხვევაში, თუ მხარეები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, მხარეებს შორის დავას განიხილავს საქართველოს საერთო სასამართლო საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

11. დასკვნითი დებულებები

11.1. წინამდებარე ხელშეკრულება, მასში გათვალისწინებული უფლებებით და ვალდებულებებით, სრულად გავრცელდება მხარეთა მემკვიდრეებზე, სამართალმემკვიდრე(ებ)სა და უფლებამონაცვლე(ებ)ზე;

11.2. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული შეტყობინებები და სხვა კომუნიკაციები უნდა ჩაბარდეს პირადად ან გაიგზავნოს დაზღვეული გზავნილით ამ ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე. ამასთან, ნებისმიერი ცვლილება, რომელიც შეეხება მხარეების რეკვიზიტებს, სხვა მხარე(ებ)ს უნდა ეცნობოს ამგვარი ცვლილებებიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში. იმ, შემთხვევაში თუ აღნიშნული წესი არ იქნება დაცული მხარის მიერ და სხვა მხარე(ებ)ს არა აქვს მიღებული შესაბამისი შეტყობინება რეკვიზიტების ცვლილებების თაობაზე, გაგზავნილი შეტყობინება ჩაითვლება ჩაბარებულად.

11.3. „ხელშეკრულებით" გათვალისწინებული ნებისმიერი შეტყობინება დგება წერილობით, ქვემოთ მითითებული შეტყობინების დეტალების თანახმად და ითვლება გადაცემულად, როდესაც აღნიშნული შეტყობინება (ა) მიიღო "მხარემ" პირადად ან საკურიერო/საფოსტო მომსახურების საშუალებით, სადაც მიღების ქვითარს ხელს აწერს მიმღები "მხარის" უფლებამოსილი წარმომადგენელი, ან (ბ) ელ. ფოსტით, ან ფაქსით, ან ორივე (ა) და (ბ) შემთხვევაში გაეგზავნა "მხარეს" "ხელშეკრულებაში" ხელმოწერის გასწვრივ მითითებულ ელ. ფოსტის მისამართზე, საფოსტო მისამართზე, ან ფაქსის ნომერზე ან ნებისმიერ სხვა მისამართზე, რომლის შესახებაც ერთმა "მხარემ" აცნობა მეორე "მხარეს" ამ "ხელშეკრულებით" გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად. ნებისმიერი კომუნიკაცია ელ.ფოსტით ან ფაქსით უნდა დადასტურდეს მიმღები "მხარის" მიერ იმისთვის, რომ უდავოდ დამტკიცდეს ამ უკანასკნელის მიერ მისი მიღება. მიუხედავად ამისა, ფაქტებიდან და გარემოებებიდან გამომდინარე, შეიძლება არსებობდეს მიღების პრეზუმფცია.

11.4. "ხელშეკრულებით" გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, ყოველი "მხარე" თვითონ გაიღებს „ხელშეკრულების" შესრულებასთან დაკავშირებულ დამატებით ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მოლაპარაკებებთან, „ხელშეკრულების" მომზადებასთან, აღსრულებასთან და ნებისმიერ სხვა საკითხთან დაკავშირებით, ამასთან თითოეულ "მხარეს" უფლება აქვს აინაზღაუროს მის მიერ გაწეული ხარჯები (მთლიანად თუ ნაწილობრივ), კანონის ზოგადი პრინციპებიდან გამომდინარე.

11.5. "ხელშეკრულებაში" ნებისმიერი ცვლილება ან /და დამატება უნდა განხორციელდეს წერილობითი ფორმით და მას ხელი მოაწეროს ორივე "მხარემ".

11.6. დაუშვებელია წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულების შეცვლა, მოდიფიცირება, გაუქმება, უარყოფა ან შეწყვეტა მხარეთა წერილობითი ურთიერთშეთანხმების გარეშე. მხარის მიერ რომელიმე უფლების გამოუყენებლობა არ წარმოადგენს ამ უფლებაზე უარის თქმას. .

11.7. წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე მუხლის და/ან პუნქტის მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე ბათილობის შემთხვევაში, დანარჩენი მუხლები და/ან პუნქტები ინარჩუნებენ იურიდიულ ძალას, ხოლო, ბათილი მუხლის და/ან პუნქტის ნაცვლად კი მოქმედებს ისეთი მუხლი და/ან პუნქტი, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებს;

11.8. „ხელშეკრულების" ტექსტში მექანიკური ან/და ტექნიკური შეცდომის ან/და ხარვეზის არსებობის შემთხვევაში, „მხარეთა" მიერ, აღნიშნული შეცდომა ან/და ხარვეზი განხილული და

განმარტებული უნდა იყოს „ხელშეკრულების“ შესაბამისი წინადადების (წინადადებების) ან/და შინაარსიდან გამომდინარე.

11.9. „ხელშეკრულების“ მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი ან/და ქვეპუნქტ(ებ)ი დანომრილია და დასათაურებულია მხოლოდ მოხერხებულობისათვის და ამ ფაქტს „ხელშეკრულების“ ინტერპრეტაციისათვის მნიშვნელობა არ ენიჭება. ნუმერაციაში და მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის მითითებაში ცდომილება/სხვაობის არსებობის შემთხვევაში, კონტექსტის შესაბამისად გამოიყენება მითითებული შინაარსის მქონე მუხლები (პუნქტ(ებ)ი ან/და ქვეპუნქტ(ებ)ი;

11.10. საკითხები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ამ ხელშეკრულებით, წესრიგდება მოქმედი კანონმდებლობით.

11.11. "ხელშეკრულება" შედგენილია ქართულ ენაზე, 3 (სამი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან 1 (ერთი) ეგზემპლარი გადაეცემა „ლიცენზიების გადამცემს“, 1 (ერთი) ეგზემპლარი - „ლიცენზიების მიმღებს“, ხოლო 1 (ერთი) ეგზემპლარი - საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას.

სს„სილქნეტი“	**სს „გლობალ კონტაქტს კონსალტინგი"**
საიდენტიფიკაციო კოდი: 204566978	**სადენტიფიკაციო კოდი: 204952275**
ბანკი: სს „თიბისი ბანკი“	**ბანკი: სს „ქართუ ბანკი“**
ბანკის კოდი:TBCBGE22	**ბანკის კოდი: CRTUGE22**
ანგარიშის ნომერი: GE97TB7404936070100004	**ანგარიშის ნომერი: GE61CR0000000004093602**
გენერალური დირექტორი	**გენერალური დირექტორი**
დავით მამულაიშვილი	**შალვა მარგალიტაძე**